შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (10.029)

18-25 ივნისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს დაცულ ტერიტორიას ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიენიჭა

საქართველოს ისტორიაში პირველად, ორ ტერიტორიას ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიენიჭა. UNESCO-მ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ნომინაცია შენიშვნების გარეშე დააკმაყოფილა. UNESCO-მ „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ (დედოფლისწყარო) და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ (თუშეთი) აღიარა და ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შეიტანა.

გადაწყვეტილება ქ. პარიზში, UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 34-ე სესიის ფარგლებში მიიღეს. UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის სამდივნომ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ნომინაცია შენიშვნების გარეშე დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დღევანდელ დღემდე, არცერთ ტერიტორიას არ ჰქონდა. „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ წარმოადგენს პირველ პრეცედენტს რეგიონის მასშტაბით. ქ.პარიზში გამართულ საბჭოს სხდომას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე **თამარ ხახიშვილი** ესწრებოდნენ.

ბიოსფერული რეზერვატი არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბუნების კონსერვაციისა და მდგრადი მიწათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დასანერგად. ბიოსფერული რეზერვატი ხელს უწყობს მდგრად რეგიონულ განვითარებას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ასრულებს მნიშვნელოვან როლს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების კუთხით. იზრდება დაინტერესება ორგანული პროდუქციის წარმოების კუთხით, რაც პირდაპირაა დაკავშირებული მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიოსფერული რეზერვატის შექმნა ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში ბიოსფერული რეზერვატის დაარსების და განვითარების პოტენციალის შესწავლა 2015 წლიდან მიმდინარეობდა. პრიორიტეტი მიენიჭა კახეთის რეგიონს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ბიოსფერული რეზერვატის განვითარებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

UNESCO-ში წარსადგენად ნომინაციების მომზადება გერმანიისა მთავრობის, ზუკოვის ფონდის, GIZ-ის და ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით, კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) თანამშრომლობით განხორციელდა. 2021 წლის დეკემბერში კი, „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატისა“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის“ სრული დოკუმენტაცია, საქართველოს მთავრობის სახელით, UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ სამდივნოში გაიგზავნა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი: „ ბიოსფერული რეზერვატი, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გონივრული გამოყენების გზით, აუმჯობესებს რეგიონის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, ხელს უწყობს ბიზნესსაქმიანობას, განსაკუთრებით, ორგანული პროდუქციის წარმოების კუთხით, ზრდის ტურისტულ პოტენციალს და, ამდენად, უმნიშვნელოვანესია მრავალფეროვანი ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატისა და სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის საერთაშორისო აღიარება დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის განვითარების ახალ შესაძლებლობებს გააჩენს. ამ ისტორიული შედეგისთვის ჩვენ 2015 წლიდან ვმუშაობდით. მადლობას ვუხდი ძალისხმევისათვის პროექტში ჩართულ თითოეულ სახელმწიფო უწყებას, აგრეთვე ჩვენს საერთაშორისო მეგობრებსა და პარტნიორებს.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ულოცავს დედოფლისწყაროელებს ამ დიდ გამარჯვებას და ამბობს, რომ ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის განვითარებისკენ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია: „ბიოსფერული რეზერვატიდან მოსახლეობას დიდი სარგებლის მიღება შეუძლია. ამ სტატუსის ქვეშ, ისინი ინარჩუნებენ და უფრთხილდებიან გარემოს, ერთვებიან გარემოს დაცვის კუთხით მდგრად ბიზნესებში, ამავდროულად, იზრდება ბიზნეს სექტორის დაინტერესებაც, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, ბიოსფერული რეზერვატის შექმნა დედოფლისწყაროს ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, ეს პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში პრინციპულად დადებით და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ბიოსფერულმა რეზერვატმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ფინანსური სარგებლის მიღება შეეძლება. მაცხოვრებლებისათვის ბიოსფერულ რეზერვატში სტაბილური ეკონომიკური შემოსავლის შეთავაზება საუკეთესო გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ის გარემოს დაცვითი შეზღუდვა იქნება დაცული, რომლებიც ბუნების კონსერვაციის ღონისძიებებითაა განსაზღვრული. ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს, გამოიმუშავოს საარსებო თანხა და მჭიდროდ დაუახლოვდეს რეგიონს. შესაბამისი ეკონომიკური სტიმულის გარეშე ბიოსფერული რეზერვატი წარმატებული ვერ იქნება. კიდევ ერთხელ გილოცავთ ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭებას, რომელიც ახალ შესაძლებლობებს ჰპირდება ყველას!“-აცხადებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი: „2015 წლიდან მუნიციპალიტეტი ჩართულია ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების სამზადისში. მუნიციპალიტეტმა მიიღო გრანტი 300 ათასი ევროს მოცულობით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა უამრავი აქტივობა. ამ ჩვენს მუშაობას შედეგის გარეშე არ ჩაუვლია. არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ რეგიონის მასშტაბით ესაა უდიდესი აღიარება - პირველი პრეცედენტია, როდესაც დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიენიჭა. ეს არის უდიდესი სიხარული და წარმატება, არა მარტო გარემოს დაცვის კუთხით, არამედ ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ასე რომ, ყველას გილოცავთ კიდევ ერთხელ ამ დიდ წარმატებას და აღიარებას იუნესკოს მხრიდან!“

ამირან კოდიაშვილი, **„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“:** „ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი ძალიან კარგია, თუმცა, ეს თავის თავში მეტ ვალდებულებას მოიცავს. მუნიციპალიტეტში მეტად უნდა განვითარდეს მწვანე ეკონომიკა, ოღონდ არა აკრძალვებით, არამედ მოტივაციის გაზრდით. სტატუსის მიღების შემდეგ განხორციელდება ბევრი კარგი პილოტ-პროექტი, რომელიც გარემოს დაცვასთან სინთეზში, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას.“

ინგა ციოლაშვილი

ალოობა 2022 დაიწყო

13 ივნისს დედოფლისწყაროს ალაზნისპირა სოფლებში ალოობა დაიწყო. როგორც სოფელ ფიროსმანიდან იტყობინებიან, ქერთან ერთად აქ ხორბალსაც იღებენ. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 3-4 ტონას შეადგენს.

11 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი დედოფლისწყაროს მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო.

„ვფიქრობთ, მიმდინარე წელი გამორჩეული იქნება, როგორც მოსავლის აღების ორგანიზების თვალსაზრისით, რისთვისაც შექმნილია შტაბი, ასევე გამორჩეული იქნება კარგი მოსავლიანობით. გასულ წელს, საქართველოს ტერიტორიაზე, ავიღეთ დაახლოებით 140 ათასი ტონა ხორბალი; ვფიქრობთ, წლევანდელი მაჩვენებლები 160-170 ათასი ტონის ფარგლებში იქნება. იმედია, სეზონი გვექნება ნალექების გარეშე და გვექნება შესაძლებლობა შემჭიდროვებულ ვადებში სრულად ავიღოთ მიღებული მოსავალი“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა.

დედოფლისწყაროს მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მარცვლეული კულტურების მოსავლის ორგანიზებულად ასაღებად, აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

სოფლის მეურნეობის ლოგისტიკის და სერვისების კომპანიის 80-მდე კომბაინთან ერთად, მოსავლის აღების პროცესში კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც ჩაერთვება. მოსავლის აღების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა.

ხორბლის მოსავალი იზრდება?!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით, 2021 წელს მოსავალმა 135,9 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 33,5 ათასი ტონით მეტია, 2020 წელს ქვეყანაში 102,4 ათასი ტონა ხორბალი მოვიდა.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, 2019 წელს ქვეყანამ 100,6 ათასი ტონა ხორბალი აიღო, 2018 წელს კი 107,1 ათასი ტონა.

ამასთან, როგორც საქსტატის ანგარიშიდან ირკვევა, გასულ წელს ყველაზე დიდი რაოდენობით მოსავალი კახეთში აიღეს. უფრო კონკრეტულად, 2020 წელს კახეთში 80,7 ათასი ტონა ხორბალი მოიყვანეს, 2021 წელს მოსავალი 101,3 ათას ტონამდე გაიზარდა. ხორბლის წარმოების მიხედვით, მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი - 17,4 ათასი ტონით, მესამეზე - შიდა ქართლი - 12,3 ათასი ტონით, მეოთხეზე - სამცხე-ჯავახეთი - 4,3 ათასი ტონით. 0,5 ათასი ტონა კი დანარჩენ რეგიონებზე მოდის.

მოსავლიანობის ზრდასთან ერთად, 2021 წელს გაიზარდა ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც. კერძოდ, საქსტატის ანგარიშის მიხედვით, თუ 2019-2020 წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 15-15%-ს, გასულ წელს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა 22%-მდე მოიმატა. 2021 წელს ადგილობრივი წარმოება იყო 136 ათასი ტონა, იმპორტი კი 482 ტონა. ხორბლის მთლიანმა სასურსათო მოხმარებამ კი 624 ათასი ტონა შეადგინა.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

სკოლებში საქართველოს ისტორიის გაძლიერებულ სწავლებას გეგმავენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, სამინისტრომ „საქართველოს ისტორიის“ სწავლების გაძლიერების კუთხით 2021 წლიდან აქტიური მუშაობა დაიწყო. ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს.

“მთავარი მიზანი იყო, რომ ახალგაზრდებს საშუალო საფეხურზე ჩვენი ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტად შეესწავლათ. შესაბამისად, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) ისტორიის სტანდარტი გადაიხედა, რისთვისაც სპეციალურად დაკომპლექტებული ისტორიკოსთა ჯგუფი შეიქმნა.

აღნიშნული ჯგუფი აერთიანებდა ქართველ ისტორიკოსებს აკადემიური წრეებიდან — პროფესორებს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ასევე, ისტორიის პედაგოგთა ასოციაციის წევრებსა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივ ექსპერტებს, რომლებმაც 2022 წლის იანვარში დაასრულეს მუშაობა ისტორიის სტანდარტების რევიზიის მიმართულებით. სამუშაო პროცესში ჯგუფის წევრებმა სხვადასხვა ინიციატივა განიხილეს და არაერთ სადისკუსიო საკითხზე იმსჯელეს.

ქართველ ისტორიკოსთა ერთობლივი მუშაობის შედეგად, მიღებულ იქნა ისტორიის განახლებული სტანდარტი, რომლის თანახმად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში „საქართველოს ისტორია“ და „ისტორია“ ცალ-ცალკე საგნად გაიწერა. საგნის „საქართველოს ისტორია“ სწავლებისას აქცენტი გაკეთდება ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევაზე და მათ სიღრმისეულ გააზრებაზე. „ისტორიის“ საგნის სწავლება კი მთავარ მიზნად ისახავს მსოფლიო ისტორიული მოვლენების/პროცესების შესწავლასა და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას.

სხვა საგნების მსგავსად, ისტორიის სტანდარტიც სრულად ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთიან კონცეფციას. აქცენტი კეთდება ისეთ მიდგომებზე, როგორებიცაა: კონსტრუქტივიზმის პრინციპები, ცნებების პედაგოგიკა და დიფერენცირებული სწავლება.

გრიფირების პროცესი უკვე დაწყებულია და გრიფირებისთვის წარმოდგენილია 5 სხვადასხვა გამომცემლობის სახელმძღვანელო - საგანში “საქართველოს ისტორია”.

შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული რეცენზენტების ჯგუფის მიერ მიმდინარეობს სახელმძღვანელოების შეფასების პროცესი, რომელიც ივლისის ბოლომდე დასრულდება.

შემფასებელთა ჯგუფში შედიან: პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები, დარგის მეცნიერები, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი, ფსიქოლოგები, ფილოლოგები და ასევე სპეციალისტი, რომელიც სახელმძღვანელოს აფასებს სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით.

2022-23 სასწავლო წლიდან X კლასის მოსწავლეებს „საქართველოს ისტორიის“ ახალი სახელმძღვანელო ექნებათ”,- ნათქვამია განცხადებაში.

კავკასიოლოგების სამუშაო ვიზიტი დედოფლისწყაროში

კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: პროფესორი ვალერიან ვაშაკიძე, ეთნოლოგი ნათია ჯალაბაძე, კულტურის პოლიტიკური მკვლევარი ვახტანგ ურუშაძე და კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლავრენტი ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს სტუმრობდნენ. ისინი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მონახულების შემდეგ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებს შეხვდნენ. მკვლევარებმა უშუალოდ მათგან მოისმინეს ინფორმაცია დედოფლისწყაროში არსებულ სიტუაციაზე, პრობლემებსა და მისი მოგვარების პერსპექტივებზე, თუ როგორ უყურებს სამოქალაქო სექტორი დედოფლისწყაროს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ისინი ამჯერად ახორციელებენ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია კახეთის რეგიონში აზერბაიჯანთან მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ხალხების ტრანსფორმაცია ბოლო ხანებში. პროექტის ფარგლებში ჩატარდება კვლევა, მომზადდება მონოგრაფია, რომელიც წიგნად გამოიცემა.

ვაკეთოთ სიკეთე - გავაგრძელოთ გზა ქველმოქმედებისა

„დღეს ამ სკოლაში ჩვენი შეკრების მიზანი ყველასთვის ნათელია. შევიკრიბეთ, რათა გავაგრძელოთ სიკეთისა და ქველმოქმედების გზა, რომელიც მეუფე დიმიტრიმ დაიწყო“ - ასე დაიწყო ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის, დიმიტრის (კაპანაძე) ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ღონისძიება დედოფლისწყაროს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2022 წლის 23 იანვარი, დღე, როდესაც საშინელმა მწუხარებამ მოიცვა ერი და ბერი, ამ დღეს გარდაიცვალა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი. ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა სათნოებით, უბრალოებით, კაცთმოყვარეობით, სიყვარულით. მეუფე დიმიტრი დაიბადა 1975 წლის 19 ივნისს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ხორითში. მონაზვნად აღიკვეცა 1995 წლის 16 დეკემბერს და წმიდა დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის სახელზე ეწოდა დიმიტრი. 1996 წლის 10 მარტს ხელდასხმული იქნა იეროდიაკვნად, ხოლო 1997 წლის 12 იანვარს — მღვდელმონაზვნად. შემდგომ მიენიჭა იღუმენისა და არქიმანდრიტის წოდებები.

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა არქიმანდრიტი დიმიტრი (კაპანაძე) გამოარჩია ეპისკოპოსად. 2013 წლის 27 ოქტომბერს მცხეთის წმიდა თორმეტი მოციქულის სახელობის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა მისი ქიროტონია ეპისკოპოსად. ეპისკოპოსი დიმიტრი 2013-2015 წლებში მართავდა მარგვეთისა და უბისის ეპარქიას, ხოლო 2015 წლიდან დღემდე — ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას.

მემორიალურ საღამოზე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა ეპისკოპოს დიმიტრი კაპანაძისადმი მიძღვნილი მუსიკალური და მხატვრული ნომრები წარმოადგინეს. აქ თქვენ მოისმენდით უმშვენიერეს, საოცრად ღამაზ და გულში ჩამწვდომ სიმღერებს სამშობლოზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა მეუფე დიმიტრის საყვარელი ლექსიც საოცარი გრძნობითა და შინაგანი ენერგიით წაიკითხეს:

„ადიგენში“

-ადიგენში,ჯულეს ახლოს,
სოსნისთვალა გოგო სახლობს,
ვინძლო,ვინმემ ხელი ახლოს,
გადავუწვავ სამოსახლოს.
ზარზმის ბოლოს,იქვე ტაფობს,
ატამს სახლეჩს,საკბეჩ-საჭობს,
სურნელება ისე სჭარბობს,
ფერთა ზღვაში ხვევებს ახრჩობს.
გოგო ფიქრობს,
ბიჭი დარდობს,
ერთი ეკვეის,
ერთი ვარდობს,
ისიც ნატრობს,
ესეც ნატრობს,
მათი ცრემლი
ქვა-ლოდს ადნობს.
მზე გაზაფხულს მუმუს აწოვს,
ფუტკარი კი აჭრილს თაფლობს,
მე რად მაწვიმს,მე რად მათოვს
ამისთანა გოგოს ჰატრონს.
ადიგენში,ჯულეს ახლოს,
სოსნისთვალა გოგო სახლობს.
ვინძლო ვინმემ ხელი ახლოს
გადავუწვავ სამოსახლოს.“

უდავოა, რომ სკოლა-ინტერნატში საოცრად ნიჭიერი ბავშვები სწავლობენ, ამას სხვადასხვა კონკურსებსა თუ აქტივობებში მიღწეული მათი წარმატებებიც მოწმობს. ამის ნათელი მაგალითია, მე-11 კლასელი გოგონას, მანანა წერეთლის შექმნილი ჩანახატი, რომელიც მას მეუფის დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა და სევდამ დააწერინა. ის იმდენად გულშიჩამწვდომი, გულწრფელი და ნამდვილი ემოციებით იყო გაჯერებული, იმდენ სევდას და მონატრებას იტევდა, იმხელა მეგობრობასა და სიყვარულს, რომ დამსწრე საზოგადოებამ ცრემლები ვერ შეიკავა და ამ ემოციამ მთლიანი დარბაზი ელვის სისწრაფით მოიცვა.

ღონისძიების დასასრულს, სკოლის დირექტორმა, ეკა სხირტლაძემ, სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: **„ჩვენ ამ დარბაზში ძალიან ბევრი ღონისძიება ჩაგვიტარებია, რომლებზეც არ გამჭირვებია სიტყვით გამოსვლა, მაგრამ დღევანდელ დღეს ძალიან მიჭირს, ძალიან რთულია აქ დგომა, რადგან დღეს ჩვენ მეუფეზე ვლაპარაკობთ წარსულში, რაც თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან რთულია: ბავშვისთვის, მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის. მინდა მადლობა გადავუხადო, ჩვენი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, რომელთა დამსახურებითაც ჩვენ ვაგრძელებთ აქტიურ ცხოვრებას, რასაც მეუფის დროს ვაკეთებდით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სკოლა ისევ გააგრძელებს აქტიურ ცხოვრებას, მიაღწევს ძალიან ბევრ წარმატებას იმ გუნდური მუშაობით, რაც ყოველთვის გვქონდა. დღევანდელი საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარების იდეა, ზუსტად ბავშვებს ეკუთვნით, მათ გამოთქვეს აზრი, რომ ჩაგვეტარებინა მეუფის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქვემოქმედო საღამო და დავხმარებოდით ვინმეს. გადავწყვიტეთ, რომ დავხმარებოდით ჩვენს პატარა ნიკოლოზს, რომელიც არის ჩვენი მეგობრის, ეკატერინეს შვილი. ის დიდი ხანი იცნობდა მეუფეს, დიდხნიანი ნაცნობობა აკავშირებდა მასთან. ჩვენს აქტიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მეუფე თეოდორეს, რომელიც გვერდში გვიდგას, გვანუგეშებს, გვაძლიერებს და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ყველა დაწყებული საქმე გავაგრძელოთ. მადლობა თითოეულ მონაწილეს, რომ ასე კარგად გამოვიდნენ და აჩვენეს ჩვენი სკოლის განსაკუთრებული ნიჭი, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმაც. მე ასე შეკრული გუნდი არსად მინახავს.“**

მეუფის კურთხევით, რომელიც მან ჯერ კიდევ სექტემბერში გასცა, უნდა ჩატარებულიყო კონკურსი საღვთო სჯულის სწავლებაში. სკოლამ ჩაატარა ეს კონკურსი, სადაც სამი გამარჯვებული ბავშვი გამოვლინდა: მეორე კლასის მოსწავლე ანა გოგიჩაიშვილი, მესამე კლასის მოსწავლე მარიამ გიგაური და პირველი კლასის მოსწავლე სანდრო კიკილაშილი, რომლებიც სკოლის ადმინისტრაციამ სიგელებითა და მცირე ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან ერთად დაესწრო. დამსწრეებს სიტყვით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიმართა: **„მთელი ღონისძიების განმავლობაში თვალწინ მედგა მეუფესთან ერთად გატარებული დრო, მისი მოღიმარი სახე, საოცარი იუმორი და თავმდაბლობა. გამოგიტყდებით, ხანდახან მავიწყდება, რომ ის ჩვენს გვერდით აღარაა. ამიტომაც ძალიან მიმძიმს მასზე წარსულში საუბარი. რამდენიმე დღეში მისი დაბადების დღეა, პირველი დაბადების დღე, როცა ჩვენს გვერდით აღარაა. ის თავს ქიზიყელად და დედოფლისწყაროელად თვლიდა და ამ ეპარქიისა და მუნიციპალიტეტისთვის უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. ჩვენი მხრიდან ამ ღვაწლის დაფასება იქნება კიდევ უფრო ბევრი შრომა და სიკეთის კეთება. დიდი მადლობა დღევანდელი დღისთვის“.**

ღონისძიებაზე, ბავშვების მიერ შექმნილი სხვადასხვა ნივთების გამოფენა-გაყიდვით შეგროვდა თანხა, რომელიც პატარა ნიკოლოზ ვაშაკიძის ოჯახს გადაეცა, რისთვისაც ნიკოლოზის დედამ, ეკატერინე ჩაჩიბაიამ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, დამსწრე საზოგადოება მეუფე დიმიტრის სულის მოსახსენებელ პარაკლისსაც დაესწრო, რომელიც მამა ნიკოლოზმა მეუფის საფლავთან გადაიხადა.

შეუძლებელია, მეუფე დიმიტრის ერთხელ მაინც შეხვედროდით, რომ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება არ დაგრჩენოდათ. განსაკუთრებულად თბილი, კეთილი, მეგობრული და მზრუნველი წინამძღოლი დაკარგა სრულიად ეპარქიამ. მეუფე დიმიტრის ხსოვნისადმი მიძღვნილმა საღამომ კი კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ როგორი წარუშლელი კვალი დატოვა მისმა პიროვნებამ თითოეულ ჩვენგანზე, ის ,თუ როგორ მოგვცა უნებლიე ბიძგი სიკეთის ქმნისა, სიყვარულისა და თანადგომისა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„გიყვარდეთ თქვენი საქმე, გიყვარდეთ თქვენი მოსწავლეები"

იაპონური სიბრძნე ამბობს: „უკან დაიხიე სამი ნაბიჯით, მაგრამ მასწავლებლის ჩრდილს ფეხი არასდროს დაადგა". საქართველოში მასწავლებლის პოზიციაზე ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრის მოზიდვა და შენარჩუნება ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ამოცანაა. არ არის ადვილი, ათასობით ახალგაზრდა მასწავლებელს შორის შეარჩიო ერთი და თქვა, რომ აი, ეს არის საინტერესო ადამიანი, მაგრამ ზურაბ პოპიაშვილმა არჩევანი გამიადვილა თავისი პიროვნებით, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მრავალპროფილურ საქმიანობას. მასთან საუბრის შემდეგ მიხვდებით, რომ ის ხელმძღვანელობს პრინციპით- „თუ გინდა რომ უყვარდე, შეიყვარე. გიყვარდეთ თქვენი საქმე, გიყვარდეთ თქვენი მოსწავლეები."

იმისთვის , რომ მკითხველმა კარგად გაიცნოს ჩვენი რესპონდენტი, მასთან ინტერვიუ საკუთარ პიროვნებაზე საუბრით დავიწყეთ. სასიამოვნოდ გაოცებული დარჩებით, როდესაც აღმოაჩენთ, თუ როგორი მრავალფეროვანი სამოღვაწეო არეალი აქვს ზურაბ პოპიაშვილს. ის დაიბადა 1989 წელს, არის 33 წლის. „ ამ ეტაპზე ვმუშაობ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებლად. იქიდან გამომდინარე, რომ მწვრთნელის ლიცენზია მაქვს, განათლების სამინისტროს სპეციალური პროგრამით, მოწვეული მასწავლებელი ვარ სკოლებში. განათლების სამინისტრომ იმიტომ დაუშვა მსგავსი რამ, რომ დღეს დღეობით პრობლემაა, დეფიციტია სპორტის მასწავლებლების. მომიწვია, როგორც პირველმა საჯარო სკოლამ, ასევე საპატრიარქოს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატმა. თუმცა, ჩემი ოფიციალური სამსახური არის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი, მიმართულება- ბავშვთა მწრთვნელი ფეხბურთში. ამავდროულად, (მოყვარულ დონეზე) ვმუშაობ კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში, ანსამბლ „ხორნაბუჯის" წევრად, ხალხური სიმღერების განხრით. თითოეული ეს სამსახური ჩემთან ძალიან ახლოსაა.

-თქვენი ამ სფეროებში შემოსვლა, ბავშვური ოცნების ნაწილიც ხომ არ იყო? რამდენად რეალიზდა ის?

ჩემი ოცნება ფეხბურთს ნამდვილად უკავშირდებოდა. პროფესიადაც ფეხბურთელობა მინდოდა. ეს რაღაც დოზით ავიხდინე. ვთამაშობდი სოხუმის „დინამოში", თელავის „კახეთში", სიღნაღის „ქიზიყში", ყვარლის „დურუჯში". ბევრმა მიზეზმა შემიშალა ხელი, რომ ცოტა ფართო მასშტაბით წავსულიყავი. მაგრამ, ვფიქრობ ჩემი ახლანდელი მდგომარეობით(მწვრთნელობით) დავიკმაყოფილე ეს ოცნება. გარდა იმისა, რომ ვწრთვნი ბავშვებს, ჩემი ასაკის ჩამოყალიბებულ მოთამაშეებთან, რომლებიც უკვე მოქმედი ფეხბურთელები აღარ არიან,სამოყვარულო ლიგასა და მასტერლიგაში ვთამაშობთ. სხვათაშორის ძალიან კარგად გამოდის ჩვენი გუნდი, რომელსაც „დედოფლისწყაროს ვარსკვლავები" ჰქვია. შეიძლება 100% არ იყოს ახდენილი, მაგრამ იმ დონეზე, რა დონეზეც მე მინდოდა, ალბათ ოცნება რეალიზდა.

-თქვენ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიასთან გიწევთ ურთიერთობა. თქვენი აზრით, რით განსხვავდება ან განსხვავდება თუ არა მიდგომები თითოეულ მათგანთან?

ეს საკმაოდ ფართო თემაა, ამაზე შეიძლება ძალიან შორიდან დავიწყოთ საუბარი, რაც დიდ დროს წაიღებს. თუმცა, გეტყვით, რომ ყველა ასაკს განსხვავებული მიდგომა და ყურადღება სჭირდება. შეიძლება რომ 7-8 წლისას ვერ მიუდგე ისე, როგორც 14-15 წლისას, ყველა ასაკს თავისი სპეციფიკა აქვს.

-ხშირად ამბობენ, რომ უფროს თაობას ახალგაზრდებთან საერთო ენის გამოძებნა უჭირთ. და პირიქით. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას? როგორ უნდა გამონახონ მათ საერთო ენა?

ვეთანხმები აბსოლუტურად. დიდ თაობას უჭირს ახალგაზრდებთან ურთიერთობა და ახალგაზრდებსაც უჭირთ მათი გაგება, იმიტომ რომ ჩვენ საბჭოთა დროინდელი ქვეყანა ვართ. იმდროინდელმა, გარკვეულმა სტერეოტიპებმა შეუწყო ხელი და ძალიან დიდი გავლენა მოახდინა როგორც სოციუმზე, საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ბავშვებზე. იქიდან გამომდინარე, რომ 90-იანი წლები ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი ჩავარდნაა, განვითარების კუთხითაც საკმაოდ დაბალი დონე იყო. ახალი ციფრული სამყარო და ტექნოლოგიები, უფროსი თაობისთვის ძალიან რთულად აღსაქმელი აღმოჩნდა. დღეს ბავშვი როდესაც იბადება, ის უკვე ციფრულ სამყაროში ხვდება, მას უკვე სივრცე აქვს ასეთი და ვერ წამოუდგენია სხვანაირად. უფროს თაობას, ამასთან ადეკვატური მიდგომა უბრალოდ არ აქვს. შეიძლება თაობათა ცვლამ ეს დააბალანსოს. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ახალი თემაა. მშობლისთვის შვილის რაღაც ქცევა ყოველთვის იყო მიუღებელი. პრობლემა არის, რა თქმა უნდა, თაობათა ცვლაში. უფროსი თაობის მიდგომებიც სხვანაირია. იმას არ ვამბობ, რომ დღევანდელი თაობა უნიკალურია, არის განათლების დეფიციტი, ცოტა ზნეობისაც. ამას მხოლოდ სკოლა ვერ მისცემს ბავშვს, ეს ოჯახიდანაც უნდა ხდებოდეს ბავშვისთვის ღირებულებებისა და ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბება. ოჯახი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ფუნდამენტია პიროვნებისა. სანამ ბავშვი სოციუმში მოხვდება, სწორედ ოჯახიდან იწყებს გარესამყაროს შეცნობას. გვინდა, არ გვინდა, მაინც ისევ თაობებთან მივდივართ. შეიძლება უფროსმა თაობამ მუდმივი სოციალური ქსელების მოხმარება გაუპროტესტოს ახალგაზრდას, რაშიც გარკვეულწილად ვეთანხმები, მუდმივად ონლაინ სივრცეში ყოფნა აფერხებს ბავშვის ზრდა-განვითარებას სხვადასხვა კუთხით. ციფრული სამყაროს წინააღმდეგი არ ვარ, პირიქით, მისი მომხმარებელიც კი ვარ, მაგრამ ამაშიც ზომიერებაა საჭირო. უფროსებს ამის კონტროლი, ალბათ, უფრო მეტად შეგვიძლია, რომ რეალურ ცხოვრებაში გვერდით გადავდოთ ტელეფონები, მაგრამ ბავშვისა და ახალგაზრდის რეალობაში ეს ასე არ არის. ის მიჯაჭვული გახდა ციფრულ სამყაროზე. ბავშვი ამოვარდნილია სოციუმიდან სრულად, არ აინტერესებს სპორტი, თამაში არ იცის, ურთიერთობები არ იცის, მეგობრობა არ იცის, შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტი უფროს თაობასთან გარდაუვალია. ეს ბუნებრივი პროცესია.

-„ახალგაზრდებს სჭირდებათ მისაბაძი მაგალითები და არა კრიტიკოსები". ეთანხმებით თუ არა ამ გამონათქვამს და რატომ?

ვფიქრობ, ბავშვისთვის და ახალგაზრდისთვის მისაბაძი მაგალითები უფრო საჭიროა. ზრდასრული ადამიანების ჩართულობა ახალგაზრდის ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ჩვენ რომ ვთამაშობთ ხოლმე, ძალიან ბევრი ახალგაზრდა გვიყურებს, ბოლო პერიოდში ვამჩნევთ, რომ ბევრ ახალგაზრდას ჩართვის სურვილი აქვს. კარგი მაგალითებით იზრდება თაობა. მისაბაძი მაგალითები უფრო საინტერესოა, უფრო პროდუქტიულია. მხოლოდ ის, რომ ვაკრიტიკოთ ახალგაზრდები და ვუთხრათ, რომ შენ სულ ინტერნეტში ხარ, შენ ცუდი ხარ, მიდრეკილი ხარ მავნე ჩვევებისკენ, შედეგს ვერ მოიტანს. ჩვენ უნდა მივცეთ ბევრი კარგი მაგალითი ახალგაზრდებს, ჩვენ უნდა ვიყოთ მისაბაძები, ვიდრე კრიტიკოსები. თაობათა შორის შედარებას გვერდს ვერ ავუვლით, ყველაფერი ხომ შედარებითია. ასეთია ადამიანის ბუნება. ურთიერთობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებში. უმრავლესობას ამის დეფიციტი აქვს. მეგობრობა, დახმარება, თანადგომა რაღაც დოზით დაკარგულია. შეიძლება, ბავშვი თავის სივრცეში კარგად გრძნობდეს თავს, ჰყავდეს მხოლოდ ერთი მეგობარი და ეს მისთვის სრულიად საკმარისი იყოს.

-თქვენი აზრით, რა სჭირდება დღევანდელ ახალგაზრდობას? რამდენად ისმის მათი ხმა დღევანდელ სოციუმში?

სოციუმში ისმის მათი კითხვებიც, ხმაც და აზრიც, იქნება ეს ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტვიტერი თუ ა.შ. სოციალური ქსელები აძლევს ნებისმიერ ადამიანს, ბავშვს და მითუმეტეს მოზარდს, იმის საშუალებას, რომ გამოხატონ თავიანთი აზრი თავისუფლად, დაწერონ და თქვან ის, რაც აწუხებთ. შესაბამისად, მათ აქვთ საშუალება გამოიწვიონ სოციუმის პასუხი, რეაქცია, მიიპყრონ ყურადღება. სოციუმს რომც არ უნდოდეს, ისინი მაინც მოძებნიან და გააცემინებენ საკუთარ კითხვებზე პასუხს. ახალგაზრდას თუ რამის თქმა უნდა, აუცილებლად იტყვის და აუცილებლად გააჟღერებს საკუთარ მოთხოვნებს. ის, რომ ახალგაზრდებს ადგილობრივ დონეზე ჰქონდეთ განსაკუთრებული პროტესტი რაიმეს მიმართ, მე ამას ჯერ არ შევხვედრილვარ. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე რაც ახალგაზრდას სჭირდება, ესაა ზომიერი გართობა. აუცილებელია ახალგაზრდის განვითარებისთვის, განათლებისთვის თუნდაც კინო და თეატრი . ეს არის იდეალური გამოსავალი, თუ რითი შეიძლება დაკავდეს ახალგაზრდა. ზაფხული მოდის, იდეალური იქნებოდა, თუნდაც ცოცხალი კონცერტები, უფრო მეტი სპორტული აქტივობები, მეტი ტურნირები, ლაშქრობები, რაშიც შეიძლება, რომ ახალგაზრდა ჩაერთოს, განვითარედეს, ცოტა უკუაგდოს სოციალური ქსელი. გემოვნების ჩამოყალიბებაში ძალიან დიდ როლს ასრულებს როგორც სოციუმი, ასევე კინო და მუსიკა - ამის დეფიციტი, შინაგან კულტურულ შიმშილს იწვევს ხოლმე.

-როგორც თქვით, ბევრ სფეროში ხართ ჩაბმული, რომელი მათგანი უფრო ახლოსაა თქვენს პიროვნებასთან? შეცვლიდით თუ არა რაიმეს საკუთარ არჩევანში?

ყველაზე ახლოს ჩემთან სპორტია, ფეხბურთი, რადგან ლიცენზიაც ამ მიმართულებით მაქვს. ალბათ, ამ არჩევანს არ შევცვლიდი. შევცვლიდი უფრო იმას, რომ მეტად ვეცდებოდი განვითარებას, ამ აზროვნებით, ამ მიდგომებით. წლები გავიდა და ბევრი რაღაც შეიცვალა, ვფიქრობ, სწორი არჩევანი მაქვს და სწორ გზას მივყვები, თუმცა, ამ გზას განვითარება დააკლდა. მუსიკაც ჩემი სფეროა. თუმცა, მე იმდენად კარგი მომღერალი არ ვარ, უფრო მელომანი ვარ. ვიტყოდი უფრო მსმენელი, ვიდრე შემსრულებელი. მიყვარს სამოციანი წლების როკ-მუსიკა და ჯაზი, მსმენელის რანგში უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე, მომღერლის.

-„ახალგაზრდები არამხოლოდ უნდა უყვარდეთ, არამედ უნდა გრძნობდნენ, რომ უყვართ". ვიცით, რომ თქვენი მოსწავლეები ძალიან გაფასებენ და პატივს გცემენ. ეს, რა თქმა უნდა, იმის შედეგია, რომ მათ მიმართ დიდ სითბოსა და სიყვარულს იჩენთ. როგორ ფიქრობთ, როგორია თანაფარდობა გაცემულ და მიღებულ ყურადღებასა და სიყვარულს შორის?

მსმენია, რომ ბავშვებს ვუყვარვარ და მაფასებენ, ეს დაფასება და სიყვარული, ალბათ , იქიდან გამომდინარეა, რომ მეც გავეცი სიყვარული. დაახლოებით, ათ წელზე მეტია, რაც ჩართული ვარ სითბოს გაცემასა და მიღებაში. რა თქმა უნდა, ეს ბუმერანგის პრინციპია. ხდება ხოლმე, რომ ადამიანი გასცემს სითბოსა და სიყვარულს, და მეორე მხრიდან არ მოდის იგივე, ესეც შეიძლება ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ჩემთვის ასე არაა. როდესაც გავცემ სითბოს და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ყურადღებიანი ვიყო ახალგაზრდების მიმართ, ვგრძნობ, რომ იქიდანაც ვიღებ ამ სითბოს, სიყვარულსა და ყურადღებას, ესეიგი რაღაცას სწორად ვაკეთებ. ხანდახან არის ხოლმე პატარ-პატარა ლაფსუსები, იმიტომ რომ, როდესაც ამდენ ბავშვთან გაქვს ურთიერთობა ინდივიდუალურად, თან ბავშვის ფსიქიკა განსაკუთრებით სათუთია, რაღაც დოზით შეიძლება ვერ მოგერგოს და ვერ მოერგო, მაგრამ ეს ძალიან იშვიათია რეალობაში. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ გიყვარს და ყურადღებიანი ხარ. ისინი, მე რასაც ვაკვირდები, ხშირად უყურებენ, (ალბათ, ესეც ქვეცნობიერია), ვის რა დოზით აქცევ ყურადღებას. ხშირ შემთხვევაში მასწავლებელს უნდა, არ უნდა, ჰყავს ფავორიტი მოსწავლეები, მაგრამ ეს დანარჩენ ბავშვებს არ უნდა დაანახოს. ალბათ, მაშინ ფასდება მასწავლებელი, როდესაც თანაბრად გასცემს ყურადღებას, სითბოსაც და სიყვარულსაც. შესაბამისად, უკუგებაც ადეკვატური იქნება. ჩემს რეალობაში, მე ამას ვგრძნობ. თანაფარდობა მიღებულსა და გაცემულს შორის, ვიტყოდი თანაბარია და უფრო მეტიც, ისინი მეტნიც არიან და მეტად გამოხატავენ ემოციებს. ხშირად მშობლის მხრიდან სიყვარულის დანაკლისის გამო, მიგვრძნია ბავშვებში ამის დეფიციტი. ავტომატურად, ბუნებრივად ალაგებს ტვინი, ვისთან, როგორი და რა დოზის სითბო უნდა გასცეს.

-როგორია თქვენთვის მისაბაძი ადამიანი? თუ გყავთ ასეთი?

ჩემთვის მისაბაძი ადამიანი უნდა იყოს ერთგული. ასეთი ადამიანი ყველაფერში და ყველასადმი ერთგულებით უნდა გამოირჩეოდეს. ვფიქრობ, მისაბაძია ადამიანი, რომელიც ამ თვისებით გამოირჩევა. ეს ძალიან კარგი თვისებაა. იმ ერთგულ ადამიანს თავისი უარყოფითი თვისებებიც ექნება, თუმცა, თუ ეს უარყოფითი თვისება შენ არ გაზიანებს, ჰქონდეს. იდეალური ადამიანები არ არსებობენ და პრობლემაა, თუ ასეთი ადამიანი არსებობს. თუ არაფერი არ „გჭირს" და ზე-ადამიანი ხარ, ესეიგი პრობლემა გაქვს, რადგან ადამიანს იმდენი სისუსტე აქვს ყველა კუთხით, რომ იყო უნაკლო- წარმოუდგენელია. მისაბაძი ადამიანებიც იმიტომ გვყავს, რომ რაღაც თვისებების დეფიციტი გვაქვს და ამის შევსებას ვცდილობთ ერთმანეთისგან. მისაბაძი ადამიანები ნამდვილად არიან ჩემს გარშემო, უბრალოდ არ დავკონკრეტდები, რომ არ გამომრჩეს ვინმე და არავინ გავანაწყენო.

-რას უსურვებდით ახალგაზრდებს? როგორ იპოვნონ საკუთარი თავი?

საკუთარი თავის პოვნა რთულია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. რადგან, ეს ის პერიოდია, როდესაც ზედაპირულად უყურებ ყველაფერს. ახალგაზრდა ყოველთვის მიდრეკილია ექსპერიმენტებისკენ. უპირველეს ყოვლისა, რადგან სპორტის მასწავლებელი ვარ, ვურჩევდი, რომ იყვნენ სპორტულ აქტივობებში ჩართული. აქ არ არის საუბარი აუცილებლად მაღალი მწვერვალების დაპყრობაზე, უბრალოდ ველოსიპედით ნახევარი საათით სეირნობა, ფეხით სიარული, ფიზიკურ აქტივობებში ჩასართველად საკმარისია. ვუსურვებ ჯანსაღ კვებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ რეალობაში, განათლებას, სწავლას აუცილებლად. ახალგაზრდამ ზოგადი განათლება მაინც უნდა მიიღოს. ეს ნამდვილად საჭიროა. ყველაზე მეტად, რასაც ვუსურვებდი ახალგაზრდებ,ს ეს არის რეალური ურთიერთობები. რადგან, ახლა უფრო მეტად გვეძლევა საშუალება, რომ ადამიანები ერთმანეთს შეეხვდეთ და ვისაუბროთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. ისაუბრონ, მისცენ თავს იმის საშუალება, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდეთ, არ იყვნენ მიჯაჭვულები ინტერნეტ სივრცეს. მომავალში შეიძლება ეს შესაძლებლობა დაიკარგოს. ჩემთვის ურთიერთობები ცხოვრების ცენტრალური ნაწილია. ამ ყველაფრით როცა მოზარდი დაკავდება, დროც კი არ ექნება რამე მავნებლურში ჩასართველად. ეს მათი მომავლისთვის აუცილებელია. ამ პრინციპებს თუ მიჰყვება, საკუთარი თავის პოვნაც გაუადვილდება და კარგ პიროვნებადაც ჩამოყალიბდება.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ფემიციდი-ქალთა მკვლელობების სერია საქართველოში

ნინა ერთ პატარა, ლამაზ სოფელში დაიბადა. მშობლებისთვის ნანატრი შვილი იყო და გავშვობაც ბედნიერი ჰქონდა. 15 წლის იყო, სოფელში მეზობელთან თბილისელი ბიჭი რომ ჩამოვიდა სტუმრად. კოკა თავისი თანატოლებისგან განსხვავდებოდა, სხვანაირად ეცვა და საუბროდა. საღამოობით, როცა სოფლის ახალგაზრდობა ერთად იკრიბებოდა და ახალგაზრდულ საღამოებს აწყობდა, ხელში გიტარას იღებდა და ქალაქურ სიმღერებს ასრულებდა. სოფლის ყველა გოგო მასზე იყო შეყვარებული. მხოლოდ ქერათმიანი და ნაზი ნინა არ გამოხატავდა კოკას მიმართ არანაირ სიმპათიას. ქალთა გულთამპყრობელს ეს ფაქტი არ გამოჰპარვია. ვერ აიტანა უყურადღებობა და გოგოს გულის მოგების ამოცანა დაისახა მიზნად. მალე მიზანს მიაღწია. სიყვარულით მთვრალმა ნინამ სკოლის დამთავრებას აღარ დაუცადა და კოკას გაჰყვა ცოლად. ეს ამბავი მეხის გავარდნას ჰგავდა სოფელში. ნაზმა და მოწესრიგებულმა ნინამ „კარგი გოგოს“ სტერეოტიპი დაანგრია და 16 წლის ასაკში „ძველ ბიჭს“ გაჰყვა ცოლად!

თავზარი დაეცათ მშობლებს, საგონებელში ჩაცვივდნენ, განა რა არ შევუსრულეთ, ასეთი რა დავაკელითო?- ეკითხებოდნენ ერთმანეთს. სასწრაფოდ ჩააკითხეს შვილს ქალაქში, უკან დაბრუნება მოსთხოვეს, მისი არასრულწლოვნებაც მოიმიზეზეს, მაგრამ, ნინამ-თავს მოვიკლავ და აქედან არსად წამოვალო! მიხვდნენ, სიყვარულს თვალები აება მათი ნებიერასთვის. გულდამძიმებულებმა დატოვეს იქაურობა, ბედსაც შეეგუნენ...

გავიდა რამდენიმე წელი. ნინამ სკოლა ვერ დაამთავრა, ვეღარც სწავლა განაგრძო. ამ ფაქტს მტკივნეულად განიცდიდნენ მშობლები, ხშირად დანანებით ეუბნებოდნენ: -განა მაგიტომ იყავი გამორჩეული მოსწავლე, რომ ჩვეულებრივ დიასახლისად ქცეულიყავიო? ამაზე ნინა უხმოდ გაიღიმებდა-ხოლმე... გულით კი დიდ დარდს დაატარებდა. სწავლას შეწირულმა სიყვარულმა არ გაუმართლა, კოკას სხვა, მისთვის მიუღებელი ცხოვრება ჰქონდა, ამის გამო ხშირად კამათობდა ცოლ-ქმარი. მოგვიანებით, როცა ბავშვები წამოიზარდნენ, კამათი ჩხუბმა შეცვალა. ვერ შეძლო ნინამ ქმრის ცხოვრების წესის შეცვლა, სასმელზე და აზარტულ თამაშზე უარი ვერ ათქმევინა. სამაგიეროდ, თვითონ გამოიცვალა, ლაღი ნინა გულჩათხრობილ ქალად იქცა, თვალებიც ჩაუქრა და გამოხედვაც დარდიანი გაუხდა. მაინც არავისთან საუბრობდა პირად პრობლემაზე, მეგობარიც არ ჰყავდა...

სკოლაში მიღებული განათლება ბავშვების აღზრდაში კი ეხმარებოდა, მაგრამ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე სამსახურს ვერ შოულობდა. ეკონომიკურად ქმარზე იყო დამოკიდებული, მისი ნებართვის გარეშე ფეხსაც ვერსად დგამდა... რამდენჯერმე მუშაობის დაწყებაზე გადაუკრა სიტყვა მეუღლეს, მან კი კატეგორიული უარი განუცხადა!

დღეები იყო ერთფეროვანი და მრუმე... ერთ დღესაც ნინამ ინტერნეტით ახალი ჯგუფი აღმოაჩინა, სადაც ხელნაკეთ ნივთებს ამზადებდნენ ქალები და მერე ყიდდნენ. თვითონაც დაინტერესდა და ლუნევინური კერვის კურსებზე ჩაეწერა. ნებართვა არავისთვის უთხოვია, გადაწყვეტილება თავად მიიღო. ისეთი ბედნიერი იყო ტანატოლ გოგონებთან ურთიერთობით, თან ყველა მისნაირი იყო- კეთილი და შემოქმედებითი ნატურა. ერთი თვის შემდეგ ქმარმა შემთხვევით შეიტყო ამის შესახებ და ყვირილი დაუწყო, მოსთხოვა კურსების დატოვება. ნინამ ცივი უარი სტკიცა. -ძლივს ჩემი საქმე ვიპოვე, გარემოც ძალიან კარგია და ბედნიერებაზე უარის თქმას არ ვაპირებო!-მტკიცე ჩანდა ნინას გადაწყვეტილება. კოკა გაჩუმდა, მაგრამ ბრაზი ახრჩობდა. რამდენიმე კვირა გავიდა, მაგრამ სახლში რომ მოდიოდა და ნინა შინ არ ხვდებოდა, ამას ვერ ეგუებოდა. ვერ გადახარშა, მის დაუკითხავად რომ მიიღო მისმა ცოლმა გადაწყვეტილება. მოგვიანებით ბრაზს ეჭვიანობაც დაერთო და ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

იმ საღამოს კოკა ნასვამი და განერვიულებული დაბრუნდა სახლში. კაზინოში საკმაოდ დიდი თანხა წააგო. მერე ადგა და მეგობრებთან ერთად გონების გათიშვამდე დალია, ბრაზი რომ დაეცხრო. სახლში მისულს არავინ შეეგება. ბავშვები საკუთარ ოთახებში გამოკეტილიყვნენ, ნინა კი ინტერნეტით ვიღაცას ელაპარაკებოდა და გულიანად კისკისებდა.

-ამ ბოლო დროს საერთოდ აღარ გაინტერესებ, არა? როგორც ჩანს, ბედნიერება სხვასთან იპოვე!-გამეხებული სახით დააცხრა კოკა ნინას. ხელში პურის საჭრელი ვეებერთელა დანა ეჭირა.

-რას ამბობ, კოკა? შენ რა, ეჭვიანობ?- სიტყვის დამთავრება აღარ დასცალდა ნინას.

სახლი განწირულმა კივილმა შეძრა. ბავშვებს საშინელი სურათი დახვდათ. ოთახში სისხლის გუბე იდგა, მამა კი დანით ხელში და უაზრო გამომეტყველებით იდგა და გაუგებარ ფრაზებს იმეორებდა.

***

ფემიციდის, ანუ ქალთა კვლის შემთხვევები ბოლო დროს გახშირდა საქართველოში. ქმრების, ყოფილი მეუღლეებისა და პარტნიორების მიერ მოკლული ქალების სტატისტიკა მზარდია. სტატისტიკის თანახმად, საქართველოში ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის შემთხვევების კლების ტენდენცია არ შეინიშნება.

სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, 2021 წელს საქართველოში 22 ქალი მოკლეს. 2020 წელს - 24. 2019 წელს კი - 19 ქალი.

წინა წლებთან შედარებით, მოიმატა ქალის მკვლელობის მცდელობის სტატისტიკამაც:

- 2021 წელს - 31 შემთხვევა;
- 2020 წელს - 27 შემთხვევა;
- 2019 — 22 შემთხვევა.



წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის შემთხვევების რაოდენობაც.

რა უნდა გაკეთდეს ფემიციდის შესამცირებლად?

ქალთა მკვლელობების და, ზოგადად, ოჯახში ძალადობის შესამცირებლად ბევრი რამაა გასაკეთებელი, მათ შორის საკანონმდებლო დონეზეც.

„ეს გახდა ბოლო წლების მთავარი პრობლემა - სახელმწიფო დავიდა იქამდე, რომ სანამ ნაცემ და მოკლულ ქალს არ ნახავს, მანამდე არ იწყებს მოქმედებას. მაგრამ უნდა გავითავისოთ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრევენციაზე მუშაობა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მოიცავს უფრო დიდ და ფართო საქმიანობას, როგორც განათლების, ისე სოცმუშაკების გაძლიერების, ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და პროგრამების შექმნის კუთხით. აი, სწორედ აქ გვაქვს პრობლემა. მოძალადეების დასჯის სტატისტიკას რომ შევხედოთ, ეს მაჩვენებელი მაქსიმალურად არის გაზრდილი, მაგრამ არაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს დანაშაული აღარ მოხდეს. დასჯა ხომ არ არის ჩვენი თვითმიზანი, ჩვენი მიზანია, რომ ძალადობა აღარ ხდებოდეს. ასეთ მძიმე ფორმებამდე არ მიდიოდეს. არ ვართ ბავშვები და არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ძალადობა აღარასდროს მოხდება, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ მინიმუმ ასეთი ფატალური შედეგები სანამ დადგება, მანამდე შეუძლია სახელმწიფოს იმოქმედოს და ამას არ აკეთებს“.

ᲘᲓᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ თვლის, რომ სახელმწიფოს ქალების მიმართ ჩადენილი დანაშაულების მინიმუმამდე დასაყვანად ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი:

„მაგალითად, წამოიყვანენ ქალს მოძალადისგან და მიიყვანენ თავშესაფარში. რა ხდება მერე? ეს ქალები, როგორც წესი, ისევ მოძალადესთან ბრუნდებიან, რადგან სახელმწიფო მათ უტოვებს მხოლოდ ორ არჩევანს - მოძალადესა და ქუჩას შორის. სახელმწიფოს შეუძლია ამ ქალებს შესთავაზოს, მაგალითად, იაფიანი საცხოვრისები, რაც ნიშნავს, რომ იმ თავისი ხელფასით, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ქალს და როგორც წესი ამ ქალების შემოსავალი თვეში შეიძლება იყოს 700-800 ლარი, შეძლონ ბინის დაქირავება, შვილის რჩენა. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ამ ქალებს, რომ საბაზრო ფასისგან უფრო იაფი საცხოვრებელი იშოვოს. ასეთი ტიპის პროგრამები უნდა არსებობდეს“.

რას ფიქრობს ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციის გზებზე, მაგალითად, სულ ახლახანს შექმნილი „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეობის კანდიდატი და ამავე დროს, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი.

როგორც ის ამბობს, ახლად შექმნილი ქალთა ორგანიზაცია, ერთი მხრივ იმუშავებს თავად პარტიის რიგებში ქალების გაძლიერებაზე, მათი შესაძლებლობების გამოვლენაზე და მეორე მხრივ, ზოგადად ქალების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე. ნინო წილოსანის თქმით, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა მათი ორგანიზაციის ერთ-ერთი საკვანძო ღერძი იქნება:

„ჩვენ ვიმუშავებთ როგორც საკანონმდებლო კუთხით, ისე სხვადასხვა კამპანიის მხრივ. არა მხოლოდ კანონმდებლობის გამკაცრება, არამედ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე მუშაობა იქნება საჭირო და მნიშვნელოვანი, რადგან ქალები არ უნდა იყვნენ ჩუმად მოძალადე კაცების გვერდით. ისინი მყისიერად უნდა აცნობებდნენ შესაბამის სტრუქტურებს ამგვარი ძალადობის შესახებ, რადგან თითოეული ძალადობა თავის თავში მოიცავს რისკს, რომ ის შეიძლება ფატალურად დასრულდეს. ამავდროულად, პრევენცია არის ის საკითხი, რომელზეც, ვფიქრობ, რომ უფრო მეტი მუშაობა გვჭირდება, მათ შორის, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. მათ შორის არის სამართალდამცავი სტრუქტურები, რომელთა მგრძნობელობის გაზრდა ნამდვილად დგას დღის წესრიგში და ნამდვილად გვჭირდება“.

რაც შეეხება ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, როგორც ძალადობისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზას, ნინო წილოსანი ამბობს:

„დიახ, ქალების ეკონომიკური გაძლიერება არის პრიორიტეტი, მათ შორის, გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში, 2022 წელს ჩვენ პრიორიტეტად დავასახელეთ ეს საკითხი. ვამზადებთ სახელმწიფო კონცეფციას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით გრძელვადიან ჭრილში განსაზღვრავს, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ რეალურად მივიღოთ ქალების ეკონომიკური გაძლიერება. ვიმედოვნებ, რომ სამინისტროები კონკრეტული დღის წესრიგით წარსდგებიან პარლამენტის წინაშე და გარკვეული პერიოდის შემდგომ, ჩვენ გვექნება ხელშესახები შედეგები“.

მანამდე კი, სანამ საქართველოში არასამთავრობო სექტორი და ხელისუფლება ერთად რაიმეს მოიმოქმედებს მსხვერპლ ქალთა რეალურად დასაცავად, საჭიროა საზოგადოების მიდგომაც შეიცვალოს და მსხვერპლი არ ასოცირდებოდეს დამნაშავესთან.

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲓᲒᲝᲛᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲯᲐᲑᲜᲘᲡ ᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲐᲡ ᲘᲤᲘᲫᲠᲔᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲐᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲫᲐᲮᲔᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲑᲠᲫᲜᲝᲜ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲫᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲝᲒᲝᲓ. ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲠᲪᲮᲕᲔᲡ ᲚᲐᲩᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲫᲠᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ“-ᲬᲔᲠᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამ საქმეს დიდი შრომა, ნებისყოფა და დრო სჭირდება

3 ივნისს გაიხსნა და, თითქმის, ორი კვირა გაგრძელდა ახალგაზრდა შემოქმედის ინგა ბაიაშვილის ნამუშევრების გამოფენა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დიდ დარბაზში. აქ სამოცდაათზე მეტი ექსპონატია წარმოდგენილი და, გაგიჭირდებათ როგელიმე მათგანის გამორჩევა. ყველა ძალიან კარგი და საინტერესოა.

გამოფენა დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინიციატივით და მხარდაჭერით მოეწყო. ინგა ბაიაშვილი, როგორც შემოქმედი და მოქალაქე საზოგადოებას კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა წარუდგინა... მასვე მიჰყავდა გამოფენის გახსნის ცერემონია, რომელსაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და ხელოვნების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. გამოფენასთან და მის ავტორთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ნუგზარ პაპიაშვილი - **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:** ბაიაშვილების გვარის მრავალმხრივი ნიჭიერება ჩემთვის სისხლხორცეული თემაა. ყმაწვილობიდან მესმოდა გამორჩეული სახალხო მთქმელის, ჩემი თანასოფლელი, იოსებ ბაიაშვილის სახელი, მისი საოცრად ძარღვიანი ლექსის მადლი. მისი შვილიშვილები ირმა და ინგა, შვილთაშვილები მარიამი და სალომე შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ღირსეული შთამომავლები არიან. ძალიან მომეწონა ნამუშევრები. კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ ინგას.

ლალი გურასპაული - **მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი:** დიდი პატივია ჩვენთვის, რომ ეს შესანიშნავი ნამუშევრები ჩვენს მუზეუმში გამოიფინა. სიამოვნებით ვუმასპინძლებთ თითოეულ დამთვალიერებელს. ეს უკვე მეორე გამოფენაა, რომელიც ინგამ ჩვენთან გააკეთა. ის ძალიან ფაქიზი ხედვის შემოქმედია, საინტერესო სიუჟეტები, პორტრეტები, ნატურმორტები ქარგვის სხვადასხვა მეთოდითაა შესრულებული, რაც დამთვალიერებლისათვის ძალიან საინტერესოა. ჯანმრთელობას ვუსურვებ ინგას და შემოქმედებით წინსვლას.

ილია მარტყოფლიშვილი - **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი:** სამი წელია ვფიქრობ ამ გამოფენაზე, მაგრამ ხან პანდემიამ, ხან სხვა ფაქტორებმა მისი განხორციელება გააჭიანურა. და აი, ეს დღეც დადგა და ბედნიერი ვარ, რომ ეს ჩემი ხელმძღვანელობის დროს მოხდა და ასეთი ეფექტური აღმოჩნდა. მოლოდინი ისედაც დიდი მქონდა, მაგრამ, ნანახმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა. საოცარი სიზუსტე, ფერთა შეხამება და გასაოცარი ოსტატობა ინგამ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. კვლავაც მეტ ენერგიას და დიდ წარმატებებს გისურვებ. გვიგულე მუდამ შენს გვერდით.

***

ინგა ბაიაშვილი 1975 წლის 25 ივნისს დედოფლისწყაროში გოგი ბაიაშვილის და ლამარა თეგაშვილის ოჯახში დაიბადა. უფროს დასთან, ირმასთან, ერთად იზრდებოდა. დაამთავრა ქ. დედოფლისწყაროს N3 საშუალო სკოლა. შემდეგ თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო ინსტიტუტის პედაგოგიკისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტი. მშობლიურ რაიონში მობრუნებულმა ჯერ კერძო სკოლაში დაიწყო მუშაობა, მერე, როდესაც სკოლამ ფუნქციონირება შეწყვიტა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გააგრძელა პედაგოგიური საქმიანობა. მცირე შემოსავლის გამო პროფილი შეიცვალა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს განყოფილებაში გადავიდა და, აგერ, 12 წელია, აქ მუშაობს. სულ ცოტა ხნის წინ კი ამერიკული ფოსტის „ფედექსის“ კურიერი გახდა და მთელს მუნიციპალიტეტს ხალისით ემსახურება. მისი მეუღლე, ზურაბ თარხნიშვილი სოფელ გამარჯვებაში დაიბადა და გაიზარდა. ოჯახი ახლა დედოფლისწყაროში ცხოვრობს და ზურაბი სახნ-

ძრო-სამაშველო სამსახურში მუშაობს. ეამაყება თავისი წარმომავლობა-ის დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის, ანუ თარხან-მოურავების შთამომავალია და „აყვედრის“ მეუღლეს „გლეხის გოგო“ რომ შეირთო ცოლად! ინგა კი ამაყობს, რომ ცნობილი იოსებ ბაიაშვილის შვილიშვილია და ტოლს არ უდებს ქმარს. ამაზე ხშირად ხალისობენ და იცინიან. ორი ქალიშვილი ჰყავთ: მარიამი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში იურიდიულზე სწავლობს, მესამე კურსელია, სალომე - მეცხრეკლასელია. დედას არცერთი არ ჩამოუვარდება, და ისინიც მშვენივრად ქარგავენ.

-ინგა, როდის დაიწყე და როგორ დაინტერესდი ხელოვნების ამ დარგით?

შემოქმედებითი ინტერესი ბავშვობიდან დაიწყო, დედა ქარგავდა და 5-6 წლის ასაკში, დედის დახმარებით, პატარ-პატარა ნამუშევრებს ვქმნიდი. მერე დაიწყო სურათების ვიტრაჟირება, ანუ სურათებს ვაკეთებდი გამოუყენებელი ნივთებისგან. მაგალითად, როგორიცაა დამსხვრეული მინები, საფანტი, ტყვიები, ტელეფონის მავთულები, ბრინჯი და სხვა. მოგვიანებით დავიწყე ჯვარედინი ქარგვა ტილოზე მულინის ძაფებით. ახლა უკვე ვქარგავ „წყლის ქარგვითაც“. სურათს ისევ მულინის ძაფებით ვავსებ სასურველი ფერებით. ასეთი მეთოდითაა შექმნილი „ცხენები,“ „არწივი“ და სხვა. თანდათან მიჩნდებოდა სურვილი დავუფლებოდი კიდევ მეტ მეთოდს. დავინტერესდი ბისერებით და ალმასებით. ბისერებით ქარგვისას თითოეული მძივის მარცვალი უნდა დააკერო, ალმასების შემთხვევაში წებოვან ტილოზე უნდა დააწებო. ბოლო დროს გამიტაცა ლენტებით ქარგვამ-დაპრინტულ სურათს ვავსებ სხვადასხვა ზომის და ფერის ლენტით. ასეა შესრულებული „ბებია და შვილიშვილი“, „ქალი“ და სხვა. ეს მესამე გამოფენაა. უკვე მქონდა ორი გამოფენა. პირველი - 1999 წელს, სწორედ მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა უმასპინძლა ჩემს ნამუშევრებს. 2003 წელს კი „კავკასიურმა სახლმა“ მიმასპინძლა თბილისში. ეს გამოფენა მე და ჩემმა დამ,

ირმამ, პაპაჩემის, სახალხო მთქმელის, იოსებ ბაიაშვილის გარდაცვალების 20 წლისთავს მივუძღვენით. მიმაჩნია, რომ სწორედ იოსებ ბაიაშვილის ფშავური გენების დამსახურებით ვარ ის, რაც ვარ და ვინც ვარ.

***

ხელთ მაქვს შთაბეჭდილებების წიგნი, რომელიც სამივე გამოფენის მნახველთა ნაზრევს გადმოსცემს.

„დიდი ესთეტიკური სიამოვნება განვიცადე შენი ნამუშევრების დათვალიერებისას, გისურვებ შემდგომ წარმატებებს ხელოვნების დიდ სამყაროში. არ შეჩერდე, არ დაიღალო...“ - ესმა პოპიასვილი, ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის პედაგოგი, 1999 წელი.

სწორედაც რომ, არც შეჩერდა და არც დაიღალა. დაიწყო ახალ-ახალი მეთოდით მუშაობა, გააფართოვა თვალსაწიერი და 2003 წლის ივნისში, დასთან, ირმასთან ერთად, პაპის, იოსებ ბაიაშვილის, გარდაცვალების 20 წლისთავს მიუძღვნა გამოფენა თბილისში, „კავკასიური სახლის“ საგამოფენო დარბაზში.

„იოსებ ბაიაშვილის ბადალი პიროვნებების არსებობა ქვეყნის სიცოცხლისა და მრავალჟამიერობის საწინდარია. გენი რომ უკვდავია, აქ გამოფენილი შესანიშნავი ნამუშევრებია ამის დასტური. ღვთის მიერ მინიჭებული ნიჭით მომადლებულ ავტორებს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ბევრი საინტერესო და საუკეთესო ნამუშევრების შექმნას.“ - თამარ ამაშუკელი, 2003 წლის 19 ივნისი.

„ინგა და ირმა! თქვენს შემოქმედებაში თქვენი წინაპრის, ცნობილი სახალხო მთქმელის იოსებ ბაიაშვილის ნიჭს ვხედავ. ეს პოეტური ხედვა, ფერების ლამაზი შეხამება, თემების სიმრავლე, მის არაჩვეულებრივ ლექსებს მაგონებს. შთამომავლობა ამ ლექსებზე უნდა აღიზარდოს. მადლობა უფალს, რომ შეგვაძლებინა ვზიარებოდით ამ ნიჭს, იმ უსაზღვროდ ამაღლებულ პოეზიას, რაც დაგვიტოვა იოსებ ბაიაშვილმა და რამაც თქვენს ნამუშევრებში ასე ძლიერ იფეთქა. დიდი მადლობა ამ განცდისთვის. წინსვლა იოსებ ბაიაშვილის ნიჭიერ შთამომავლობას“. - ნანული კოტეტიშვილი

მას მერე 19 წელი გავიდა შრომაში, თავსდათენებულ ღამეებში, ფიქრში, წარმოსახვაში, სიახლეების ძიებაში...შეიქმნა მრავალი ახალი ტილო ზოგი აღმაფრენისა და სიხარულის გამომხატველი, ზოგი-უახლოესი ადამიანების წასვლით გამოწვეული მწუხარების და სევდის... და აი, 2022 წლის 3 ივნისი, კვლავ მუზეუმის საგამოფენო დარბაზი და კვლავ ნანახით აღტაცებული ადამიანების ჩანაწერები...

„თქვენმა გამოფენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შორიდან მესმოდა თქვენი ნიჭისა და უნარის შესახებ. დღეს ჩემი თვალით ვიხილე და აღტაცებული ვარ. მიგულეთ თქვენს დიდ დამფასებლად და გულშემატკივრად.“ - პატივისცემით, მაია გელაშვილი.

„ულამაზესი ნამუშევრებია. წლების წინ ვნახე შუშის ნამსხვრევებით და სხვა მასალებით შექმნილი თქვენი სურათები და გაოცებული დავრჩი სასწაული სილამაზეების ხილვით. დღევანდელმა გამოფენამაც ძალიან მომხიბლა. შესანიშნავი და მრავალფეროვანი ნამუშევრებია. გამახარა იმ ფაქტმა, რომ შენი შვილები, მარიამი და სალომეც კარგად ფლობენ ამ ხელოვნებას. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხალისს გისურვებ, რომ არაერთი შთამბეჭდავი ნამუშევარი შექმნა.“ - პატივისცემით, თეა გიგოლაშვილი.

ეჭვსგარეშეა, კვლავაც ვიხილავთ ბაიაშვილის „ქალების“ მიერ შექმნილ სილამაზეებს.

-ინგა, და რადგან, ყველა შემთხვევაში ხაზი შენს იოსებ ბაიაშვილის შთამომავლობას ესმება, გვითხარი ცოტა რამ მის შესახებ.

შვიდი წლის ვიყავი, პაპა რომ გარდაიცვალა, თუმცა, ის ჩემი ცხოვრებიდან არასდროს წასულა, სულ თან მახლავს ჭირსა თუ ლხინში. მე მასთან გენებით ვარ დაკავშირებული, რასაც სიკვდილიც კი ვერ გაწყვეტს. ის იყო თბილი, ალერსიანი, მზრუნველი, მოსიყვარულე. მეამაყება, რომ მისი შვილიშვილი ვარ. მსიამოვნებს, რომ ახსოვთ და უყვართ. მისდამი მიძღვნილი ღონისძიება, ტელეგადაცემა თუ სტატია ფრთებს მასხავს. მართალია, ქარგვა დედისგან ვისწავლე, მაგრამ ფშაურმა გენეტიკამ ფანტაზია გამიხსნა. მადლობა უფალს ყველაფრისთვის, რაც შემაძლებინა.

–სამომავლო გეგმები?

გავაგრძელებ ქარგვას, რადგან ის ჩემი სულიერი მოთხოვნილება და ცხოვრების ნაწილია. ქარგვაა, რაც მატანინებს ყველა სირთულეს, ჩემთანაა სიხარულის ჟამს...ამ საქმეს დიდი შრომა, ნებისყოფა და დრო სჭირდება... გარიჟრაჟზე დასრულებულ ნამუშევარს, ბოლო ნემსის წვერს, მძივს, ბისერს თუ ლენტის ჩაკვანძას ისეთი სიამოვნება მოაქვს, რომ ღირს ძილის გატეხვაც, მხრების და წელის ტკივილიც... მე მიყვარს ეს საქმე და ჩემთვის იმდენად ორგანულია, ვერც კი წარმოიდგენია ის დრო, როცა ამას აღარ, ან ვეღარ გავაკეთებ.

–წარმატებებს გისურვებთ!

ნაირა გორაშვილი

ვადები ცნობილია – საქართველოზე პროგრესის შეფასებას 2022 წლის ბოლოს მოამზადებს

ევროკომისიამ დღეს უკრაინისა და მოლდოვისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. საქართველომ ევროკომისიისგან მხოლოდ ევროპული პერსპექტივა მიიღო, რაც პირობების დაკმაყოფილების შემდეგ კანდიდატის სტატუსს ითვალისწინებს. კომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს EU-ს მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, რათა ქვეყანამ მომავალში მაინც შეძლოს კანდიდატის სტატუსის მიღება.

ევროკომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა კომისიის მიერ მომზადებული პირობები, რომლებიც საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს. მათ შორისაა 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, მათ შორის საარჩევნო და სასამართლო სისტემების რეფორმირება. ასევე არის ახალი ჩანაწერიც, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში „დეოლიგარქიზაცია“.

გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, ევროკომისია საქართველოს პროგრესის შესახებ შეფასებას 2022 წლის ბოლოს მოამზადებს.

გთავაზობთ იმ პირობებს, რომლებიც საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს:

1. 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის მოგვარება, თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით;

2. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულად ფუნქციონირების გარანტია, მათი დამოუკიდებლობისა, ეფექტური ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება. საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება და OSCE/ODIHR-ის მიერ გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

3. სასამართლოს რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტური სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება; ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა; განსაკუთრებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროკურატურისა და ყველა სხვა სასამართლო ინსტიტუტის სათანადო ფუნქციონირება; უნდა გამოსწორდეს ყველა ხარვეზი უზენაეს სასამართლოსთან მიმართებაში, განსაკუთრებით მოსამართლეებისა და პროკურორების დანიშვნასთან დაკავშირებით. უნდა განხორციელდეს საფუძვლიანი რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით. ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

4. უნდა გაძლიერდეს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის დონე, რომელიც აერთიანებს ყველა ძირითად ანტიკორუფციულ ფუნქციას, განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციული შემთხვევების მკაცრ განხილვასთან დაკავშირებით. ახალი სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები უნდა აღიჭურვონ შესაბამისი რესურსებით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.



5. უნდა განხორციელდეს „დეოლიგარქიზაციის“ სტრატეგია - ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა აღმოიფხვრას ზედმეტი გავლენა.

6. გააძლიეროს ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან რისკების დეტალური შეფასების საფუძველზე. მკაცრი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გარანტირებული იყოს გამჭვირვალობა და ზედამხედველობა აღსრულების სააგენტოების მიმართ.

7. გადადგას უფრო ძლიერი ნაბიჯები, რათა გარანტირებული იყოს თავისუფალი, პროფესიონალური და პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემო. მათ შორის, კრიმინალური ბრალდებები მედიამმართველების მიმართ უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლეს ლეგალურ სტანდარტებს. ეფექტიანად უნდა იქნას გამოძიებული მუქარები ჟურნალისტების და მედიაპროფესიონალების მიმართ.

8. გადადგას მყისიერი ნაბიჯები, რათა დაცული იყოს მოქალაქეთა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები. მათ შორის, გაძლიერდეს გამოძიებები ძალადობრივ დანაშაულებთან მიმართებით.

9. განამტკიცოს გენდერული თანასწორობა და ებრძოლოს ქალთა წინააღმდეგ ძალადობას.

10. უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

11. მიიღონ კანონმდებლობა, რათა საქართველოს სასამართლოებმა განხილვისას პროაქტიულად გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები;

12. ახალი სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) წარდგენის პროცესში უპირატესობა დამოუკიდებელ პირს მიენიჭოს და ეს პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს; უზრუნველყოს ამ ოფისის ეფექტური ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.

UAE საქართველოს მოქალაქეთათვის უვიზო რეჟიმს აწესებს

არაბთა გაერთიანებული საამიროები საქართველოს მოქალაქეთათვის უვიზო რეჟიმის დაწესებას გეგმავს. ამის შესახებ ქვეყანაში საქართველოს საელჩო ავრცელებს ინფორმაციას. დიპლომატიური წარმომადგენლობის განცხადებით, მოლაპარაკებების ეტაპი წარმატებით დასრულდა და ამჟამად UAE-ს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების ოფიციალურად მიღების პროცედურა რჩება უვიზო რეჟიმის ამოქმედებისთვის.

„მოლაპარაკებების შედეგად, არაბთა გაერთიანებული საამიროების ხელისუფლებამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს ორდინალური პასპორტის მფლობელებისთვის ქვეყანაში შემოსვლის უვიზო რეჟიმის დაწესებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, აქამდე, ორ ქვეყანას შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, საამიროებში უვიზო რეჟიმით სარგებლობდნენ მხოლოდ საქართველოს დიპლომატიური და სამსახურეობრივი პასპორტების მფლობელები. მხარეებს შორის, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ფორმალობების დასრულების შემდეგ, საელჩო გაავრცელებს ინფორმაციას ახალი სავიზო რეჟიმის ამოქმედების კონკრეტული თარიღის შესახებ.

ხაზგასასმელია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გახლავთ საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პოზიტიური დინამიკის კიდევ ერთი ნათელი მაჩვენებელი,”- წერს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში საქართველოს საელჩო.

ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში ნატოობა აღინიშნა

14 ივნისს, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში ნატოობის ღონისძიება გაიმართა.

წელს, ნატო ვაჩნაძის დაბადებიდან 118 წელი გავიდა, ხოლო გარდაცვალებიდან - 69.

გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ინიციატივით ,ნატოობის დღესასწაულთან დაკავშირებით, 14 ივნისს ნატო-ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში შესვლა უფასო იყო.

სახლ-მუზეუმის თანამშრომლების ორგანიზებით მოეწყო დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება, მათ შორის, გავიდა ფილმი „ქაჯანა” ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

მონატრება

ილიკო შარვაძე

„მე დავიბადე ვეფხვის წელში, ვეფხვივით მარდი,
ჩემი ბედი და მომავალი თან დამყვა მაშინ“.

ბედნიერი იყო ჩემთვის 21 რიცხვი, რადგან ამ დღეს გავხდი დედა. დედობა ხომ ქალისთვის ახალი ცხოვრების დასაწყისია. სიცოცხლე ულევი სიხარულით და სითბოთი ამივსე, როცა პირველად „დედიკო“ დამიძახე.

მაგრამ... მიდიან დღეები, არ ჩერდება დრო, შენ ხარ მთელი ჩემი სამყარო, ჩემი ტკივილი, მეათედ მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე, მეათე ცრემლიანი, ნაღვლიანი, გაცრეცილი 21 ივნისი. გილოცავ, ჩემო ილიკო, დაბადების დღეს, შენ 48 წლის გახდებოდი, ჩემო დედისერთა ბიჭო! ძნელია ამ დღის აღნიშვნა უშენოდ, მაგრამ რა ვქნა, თავსზევით ძალა არა მაქვს. მოვალ შენს საფლავზე, დაგინთებ 48 სანთელს, იქნებ როგორმე გაგითბო ეგ სიყვარულით სავსე გული, იქნებ ძველებურად ლამაზად შეარხიო მხრები, წამოიწიო, რომ დედამ წამიერად მაინც შეგავლოს თვალი მონატრებულ შვილს.

21 ივნისი საათნახევრის დამდგარი იყო, როცა შენ ამქვეყანას მოევლინე. წახვედი ამ ქვეყნიდან, 21 ნოემბერს-მთავარანგელოზობის დღეს, როდესაც საათნახევარი იყო დარჩენილი 21 რიცხვის. ნუთუ ასეთი დამთხვევაც ბედისწერა იყო? ყოველთვის სიხარულით ელოდებოდი შენს დაბადების დღეს. 21 ივნისი ათვლის წერტილად გქონდა ქცეული: ჩემს დაბადების დღეს, ჩემი დაბადების დღის შემდეგ, ყველაფერს ამ დღეს უკავშირებდი თუკი რაიმე ახლის წამოწყებას გადაწყვეტდი. ბავშვივით გიხაროდა და გიყვარდა შენი დაბადების დღე და ასე იტყოდი ხოლმე, 21 ივნისს ვარ დაბადებული, ამ თვეში და ამ რიცხვში ბევრი გამოჩენილი ადამიანი არის დაბადებულიო. ბედნიერი ბავშვობა გქონდა, არ გაკლდა წარმატებები: წარჩინებული მოსწავლე, წარმატებული მოცეკვავე, კარგი სტუდენტი იყავი და ამით მეც ძალიან ბედნიერი და გახარებული ვიყავი.

შენ სიცოცხლეზე შეყვარებული და იმედიანი იყავი, ასე იცოდი თქმა: ორმოც წლამდე ბიჭი ვარ, ორმოცი წლის მერე ვიქნები კაციო, მაგრამ ვაი, რომ შენ არ გეღირსა დაკაცება და შენს დედას კი შენს გვერდით ბედნიერი სიბერე. ვის ჩააბარე ჩემი თავი, ვის იმედად დამტოვე, ჩემო ილიკო. შენ ხომ თვითონ ორი პაპის მოსახელე იყავი და შვილსაც შენი სახელი რატომ დაარქვი, შენი სახელის და გვარის გამგრძელებლად, ნუთუ გული წინასწარ რაიმეს გიგრძნობდა, შვილო.

შენი შვილების გულში მუდამ იქნები ლამაზი, ახალგაზრდა და საყვარელი მამიკო. ნიას რა დაავიწყებს შენს თავს, ილიკოს კი არ ახსოვხარ, ის ძალიან პატარა იყო-2 წლის. როცა შენი ილიკო დავაჟკაცდება, ასწევს ჭიქას, დალევს შენს სადღეგრძელოს, გადღეგრძელებს ცოცხლად და თან იტყვის - მე ძალიან პატარა ვიყავი, არც კი მახსოვს მამაო, ამ სიტყვებისთვის ძალიან მენანებით შენც და ისიც, ჩემო უიღბლო ბიჭებო. შენმა შვილებმა ბაბუა სურათებით გაიცნეს და შენც ასე გაგიცნობენ შენი შვილიშვილებიც-პატარა სანი, რომელიც უკვე 10 თვისაა.

კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს დიდი ტკივილითა და ცრემლებით. ეს ცრემლები დაბადების დღის საჩუქრად მიიღე შენი უბედური დედისგან, ჩემო ილიკო. თუკი სული უკვდავია, გარდაუვალი შეხვედრა გველოდება, ნათელი იყოს ჩვენი მომავალი გზა, ბედნიერი იყოს ჩვენი შეხვედრა, ჩემო ერთადერთო სანთელო.

შენი მონატრებული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

წლის ბოლო კონცერტზე...

ხელოვნების სკოლაში 15 ივნისს კიდევ ერთ საზეიმო კონცერტს დავესწარით. მიუხედავად პანდემიისგან გამოწვეული ხანგრძლივი, ორწლიანი პაუზისა, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში ბოლო ოც დღეში სამი კონცერტი ჩატარდა - 26 მაისს, 7 და 15 ივნისს, სამივე განსხვავებული თემატიკით. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არცერთხელ არ შესრულებულა ერთიდაიგივე ნაწარმოები. ეს ყველაფერი პედაგოგების დიდი შრომის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ რატომღაც არასდროს ჰქონიათ შესაბამისი ანაზღაურება, ყოველთვის ნახევრად (თუ უფრო მეტად არა), ენთუზიაზმზე უწევდათ მუშაობა, მათ სამუშაო ხარისხს წუნს ვერასდროს დასდებდი, მხოლოდ მოიწონებდი.

წლის შემაჯამებელი, აკადემიური კონცერტი ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა გუნდმა გახსნა სიმღერით: „ეს ლამაზი მთები“ (პედაგოგი-ნინო მანჯაფარაშვილი, ფორტეპიანოსთან-პედ. ნინო ნიკვაშვილი). მოსწავლეებმა, დებმა - სოფიო და ანასტასია ქუშაშვილებმა, ტყუპებმა- ელენე და ვახტანგ კიკილაშვილებმა, ნინო ფიროსმანაშვილმა, მარიამ თეთვაძემ, თეკლა გაბიდაურმა, ლიზა სანამიანმა, დაძმა-სანდრო და თამარ ჩუთლაშვილებმა, ანამარია ნერსესოვამ, მარიამ ტალიაშვილმა, ალექსი მადოიანმა, ანანო ვარდიაშვილმა, ქეთევან კვესაძემ, ნია კირაკოსიანმა, ანასტასია ახალაურმა, გიორგი ღვედაშვილმა, სოფიო გახოკიძემ, დებმა ნია და ლიზი შანშაშვილებმა, თამარ არაბულმა, სალომე ტუსაშვილმა, ნუკი სისაურმა, მარიამ ალუღიშვილმა, ლალა ჩოფიკაშვილმა, მარიამ ხუციანიძემ, მარიამ ჯინაშვილმა, ლუკა ყაჭაშვილმა, მარიამ ნატროშვილმა მაღალი აკადემიური კლასის ჩვენებით შეასრულეს სხვადასხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები და ასახელეს პედაგოგები: ლია ხაჩიაშვილი, ნინო ალადაშვილი, დალი ხუციშვილი, თამილა ნადირაშვილი, ოლიკო მუჩიაშვილი, მარიამ კიკილაშვილი, თამარ კიკილაშვილი, ნინო ლაპიაშვილი, ნინო ნიკვაშვილი, მანანა რამაზანაშვილი, ნინო მანჯაფარაშვილი და მარიკა მგელიაშვილი.

ღონისძიების დასასრულს სცენაზე სიტყვა გადასცეს - **მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა უფროსს,** თამარ თამაზაშვილს: **„მერიის სახელით გილოცავთ დღევანდელ დღეს, როგორც ველოდით, შედგა მშვენიერი კონცერტი. ვულოცავ სკოლის დამთავრებას მეექვსეკლასელებს და ვურჩევ, მოიფიქრონ მეშვიდე კლასში სწავლის გაგრძელება, პატარებს კი ვუსურვებ მეტ შრომისმოყვარეობას, სწავლასა და მაღალ პასუხისმგებლობას. თქვენ, ასეთი საყვარლები, ჩვენი იმედი და მომავალი თაობა ხართ. ჩვენი მიზანია, თქვენ იცხოვროთ განვითარებულ, განათებულ, განათლებულ, გაბრწყინებულ საქართველოში. ამას ემსახურება თითოეული ჩვენი ნაბიჯი. ამისთვის ჩვენი ღირებულებები, მიზნები და ქმედებები უნდა იყოს შესაფერისი.ხელოვნების სკოლის ძირითადი დანიშნულება კლასიკური მუსიკის შესწავლასთან ერთად, უპირველესად ესთეტიურ-კულტურული აღზრდაც არის. სწორედ ამ ღირებულებებს მუხლჩაუხრელად ემსახურებიან პედაგოგები. დღეს გვინდა მადლობა გადავუხადოთ და დავაჯილდოვოთ მადლობის სიგელით ქ-ნი ნინო ნიკვაშვილი, რომლის დამსახურებაც მხოლოდ ხელოვნების სკოლით არ შემოიფარგლება, იგი გახლავთ გუნდების წამყვანი და წარმატებული კონცერტმეისტერი.“**-განაცხადა თამარ თამაზაშვილმა და ხელოვნების სკოლის თითოეულ პედაგოგს, მოსწავლეთა მშობლებს და მოსწავლეებს წლის წარმატებით დასრულებისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

საქართველო National Geographic Travel magazine-ის ტურისტულ გზამკვლევში იქნება შეყვანილი

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია National Geographic Travel magazine-ის ჟურნალისტს ჯოზეფ რიჩარდ იოგერტს მასპინძლობს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გავლენიანი საერთაშორისო გამოცემა მსოფლიოს 100 საუკეთესო ქალაქის შესახებ სპეციალურ გზამკვლევს ამზადებს, სადაც თბილისი და საქართველოს ტურისტული ადგილები იქნება შეყვანილი და ამ მიზნით გამოცემის ჟურნალისტმა საქართველოს დედაქალაქი დაათვალიერა, გადაიღო თბილისის ტურისტული ადგილები.

მათივე ცნობით, ჯოზეფ რიჩარდ იოგერტი უფლისციხეში გაემგზავრა, სადაც კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება, კლდეში ნაკვეთი ქალაქი დაათვალიერა.

„თბილისი არის ევროპული ქალაქი, სხვადასხვა პერიოდის ძალიან ლამაზი არქიტექტურით, მათ შორის თანამედროვე სტილის. ძალიან მომეწონა ქართული კერძები, განსაკუთრებით ხინკალი. თბილისის შემდეგ პირველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც დავათვალიერე, უფლისციხეა. ეს ადგილი უფრო პატარა მეგონა, თუმცა აღმოვაჩინე, რომ ეს გამოქვაბულების ქალაქია, სადაც როგორც საცხოვრებელი, ასევე სალოცავები იყო მოწყობილი. ყველას გავუწევ რეკომენდაციას, ჩამოვიდნენ საქართველოში და ეწვიონ ამ ადგილებს“, - აცხადებს National Geographic-ის ჟურნალისტი ჯოზეფ რიჩარდ იოგერტი.

ამასთან, ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ National Geographic Travel magazine-ის ჟურნალისტი სტეფანწმინდას ესტუმრება, დაათვალიერებს გერგეტის სამებას და გაემგზავრება კახეთში, სადაც ღვინის მარნებს მოინახულებს.

პოეზიის საღამო ხელოვნების სკოლაში

არასამთავრობო ორგანიზაცია „დედოფლისწყაროს ქალების“ ინიციატივითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, 17 ივნისს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში, თბილისში მოღვაწე არბოშიკელი პოეტის, ნინო ალადაშვილის პოეზიის საღამო გაიმართა.

ვრცელ მასალას გაზეთი „შირაქი“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 20.06		სამშაბათი 21.06		ოთხშაბათი 22.06		ხუთშაბათი 23.06		პარასკევი 24.06		შაბათი 25.06		კვირა 26.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27°	16°	29°	17 °	28 °	15 °	26 °	14 °	28 °	16°	30 °	18 °	31 °	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.